<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ფალავანის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს ფალავანის ვანო წამალაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,000
X=485458 Y=4628614
X=485637 Y=4628622
X=485575 Y=4628581
X=485590 Y=4628587
X=485488 Y=4628548
X=485576 Y=4628496

ვანო წამალაშვილი

(1900-1967)

ქართველი ფალავანი, მწვრთნელი, საპატიო რკინიგზელი.

ვანო წამალაშვილი ქართული ჭიდაობის ასპარეზზე თბილისში 1918 წელს გამოვიდა და ამავე წელს მოიპოვა პირველი გამარჯვება, 1922 წელს მოიპოვა საქართველოს ფალავნის ტიტული. 1925 წელს მისი თაოსნობით შემოიღეს წონით კატეგორიებად დაყოფა ქართულ ჭიდაობაში, განისაზღვრა ორთაბრძოლების ხანგრძლივობა, მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიციური მომზადება, 1925 წლიდან ვანო წამალაშვილი თავად ზრდიდა ქართული ჭიდაობის ოსტატებს. 1920-1926 წლებში იგი ცნობილი ფალავანი იყო. მას თავისი განსაკუთრებული ჭიდაობის ფანდებით დამარცხებული ჰყავდა არაერთი ძლიერი მოჭიდავე.

ვანო წამალაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭიდაობის განვითარებაში, მან აღზარდა ქართული ჭიდაობის საუცხოო ოსტატები: მიხეილ შაოშვილი, შალვა რჩეულიშვილი და სხვა მრავალი.

მას ფსევდონიმად „პატარა გლდანელი“ შეარქვეს. მან შესანიშნავი სახელი დატოვა არა მარტო როგორც ფალავანმა, არამედ როგორც მწვრთნელმა. იგი იყო ქართული ჭიდაობის სექტორის გამგე. მან ერთ-ერთმა პირველმა შეადგინა და გამოსცა ქართული ჭიდაობის წესები. 1928 წელს ჩატარდა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ეს იმ დროს დიდი მოვლენა იყო, ვანო წამალაშვილის სექციიდან ხუთი გამარჯვებული გამოვლინდა. მის ოსტატობას ლექსებს უძღვნიდა პოეტი იეთიმ-გურჯი, მასზე იწერებოდა წერილები იმდროინდელ გაზეთებში, იყო თბილისის 31-ე რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის პირველი დირექტორი, საპატიო რკინიგზელი, მეგობრობდა აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან, ისინი გიმნაზიაშიც ერთად სწავლობდნენ, 1937 წლიდან 1943 წლამდე მუშაობდა თბილისის რკინიგზის საზოგადოებრივი კვების ვაჭრობის კანტორის უფროსად, შემდეგ იყო ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი, რკინიგზის სამმმართველოს ბაზის უფროსი.

ვანო წამალაშვილის და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა, რომ 2018 წელს ქართული ჭიდაობა იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011731458039721

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 263878 **25 / ივნისი / 2021 წ.**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 21 ივნისს წარედგინა გიორგი გვიდიანის (პ/ნ:55001020915) NM21008272 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით: N01.11.10.001.268. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთების საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: ქალაქი თბილისი, გლდანი, VIII მ/რ, პატარა ტბის მიმდებარედ. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ, ასევე ადმინისტრაციული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: თანდართულ სიტუაციურ რუკაზე სააგენტოს მიერ მითითებული გეოგრაფიული ობიექტის კონტური წარმოადგენს პირობით მონიშვნას, სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

წერილის ნომერი: **34-0120073231**
თარიღი: **13/03/2020**
პინი: **3344**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

მოგესალმებით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში 2020 წლის 26 თებერვლის №19/01200572363-01 განცხადებით მოგვმართა გაბრიელ ბარჯაძემ (პ/ნ 01002005543), რომლითაც მოთხოვნილია ქუჩისთვის სახელის მინიჭება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს და გთხოვთ, განიხილოთ კომპენტენციის ფარგლებში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი,

პატივისცემით,

ზურაბ ქაშიაშვილი

გლდანის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
კახა კალაძეს

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ შესაბამის კომისიასთან, რათა თბილისში კერძოდ ქალაქში, ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ვანო წამალაშვილის (1900-1967) სახელი.

ვინ იყო ვანო წამალაშვილი?

ის იყო გამოჩენილი ფალავანი. ზოგჯერ "ახალგაზრდა ფალავნად" და "ვანო ფალავნად" მოიხსენიებდნენ. განსაკუთრებით 1918-1926 წლებში მიაღწია მან დიდ წარმატებებს ქართული ჭიდაობის სარბიელზე. საქართველოს ჩემპიონის ახალგაზრდა თასებს.

იეთიმ გურჯმა (ლამლიშვილმა) თავის ლექსში "საქართველოს ფალავნები" (1925) დაწერა:

"ვანოს ჰგონია(?) ფალავნებს ფალავანი გმირია,
"ეშმას თავის ქმედითა(?) მერე კეკიშვილია(?)."

დიდია ვანო წამალაშვილის როლი ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში.

ჩვენ, ჩოხით(?) კულტურიდან დავყოფთ ამ არსებობდა(?), რომელიც იწვე- ვს ჩვენს წინაპრებს(?).

1. ჩოხით(?) კულტურიდან დაყოფა სწორედ ვანო წამალაშვილის თანხმობით იქნა შემოღებული
2. განისაზღვრა ტრადიციების(?) ხანგრძლივობა(?)
3. დაიწყო მასწავლის შერჩევა (მაგალითად მასწავლის როლს მოვ- ლენი(?), მოხუცები ან "სპეციალისტები" ასრულებდნენ).
4. შემოღებული იქნა ქართული ჭიდაობის მასწავლებლის და მასწავ- ლის მოსწავლეების კურსები

უფრო ეს სახელი დაწესდა 1925 წლიდან ვანო წამა- ლაშვილის და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, რომლე- ბსაც განსაკუთრებით ყურადღებით(?) [illegible]

ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ვანო წამალაშვილმა შეიტანა ქართული ჟურნალების ფასადი ჯილდოსთვის.

მეორე საუკუნის იულიანური წლების ალსანეიში წამალაშვილმა ალანეთი ქართული ჟურნალების ხელმძღვანელი, რომელიც გალეფა ჭიდ-ჟელეფის ეკლესიის ეკლესია ინსტიტუტს. ამ ხელმძღვანელის მიხედვით ალექსიოსის ალბომი ჯალაშვილმა შექმნა სასწავლო ფილმი ქართული ჟურნალებზე.

საქართველოს ისტორიული ფალავნობის სუფლიური შეჯიბრების ალანეტებზე 1928 წლიდან ვანის და ძმა შეგობრების ალა-ნეტებზე 1928 წლის ფალავნიდან ვანის მონაწილეობა ალიწყო. შაცვა ასეთი შეილ ვახლ.

ეფთიმ ბუჩკი წერს: „თუ რომ ვინმე მეგობარი
ეფთიმ გუჩკს ეკითხვის,
ისე ვანო ბლანელსა ვერავინ
ვერ წაჯდება!"

ბაკურის ბლანში მესხოვრებმა, ვანო წამალაშვილმა ძალა ქართული ჟურნალების თანამედროვე სახე. ეფექტიანი ბლანში ვანო წამალაშვილის სახელ~~ზ~~ ~~ბ~~ თუ ვეფნოლებთ, რომელიც მონაჯვეთ ~~ალ~~ ~~ბ~~ ~~ალ~~ ~~ბ~~ ~~ალ~~ ~~ბ~~

წერილის ნომერი: **03-032122813**
თარიღი: **16/08/2021**
პინი: **2827**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2021 წლის 25 ივნისის საქმე #04-0321176101-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე გიორგი გვიდიანი N M21008272 განცხადების საფუძველზე ითხოვს გლდანის VIII მ/რ-ში, პატარა ტბის მიმდებარედ არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ. 01.11.10.001.268).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვანო წამალაშვილის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121243123**
თარიღი: **31/08/2021**
პინი: **7992**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.08.2021 წლის #03-032122813 (16.08.2021წ. #14-01212281433-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი